ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 288. პარასკევი, 25 დეკემბერი 1909 წ. დამატების № 51

760

შობა ქრისტესი.

ძველი ქართული მხატვრობა. ეს სურათი მხატვრის გაგარინის მიერ გადაღებულია გელათის ძველ სახარებიდან.

საიდუმლოება ძველებურ ციხე-დარბაზისა.

(თარგმანი)

დახურულს განგელონის ტყეში ერთხელ, როდისღაც უწინდელ დროში, სცხოვრობდა შეშის მჭრელი თავის ცოლითა და პატარა ვაჟით, ედვინით. ედვინი ათის წლისა იყო, გამხდარი, შაგვრემანი, შავის ხუჭუჭა თმით, ლამაზის, მზისგან დამწვარის სახით და ჩაფიქრებულის მუქი თვალებით. იგი იყო ჯან-მრთელი, მაგარი და ცოცხალი ბავში.

პატარაობიდანვე თავის გარშემო ჰხედავდა მხოლოდ ტყეს და შეიყვარა კიდეც იგი. ზოგჯერ დილიდან საღამომდის დაეხეტებოდა ხოლმე ედვინი ტყეში და იმიტომაც ყველა ახლო-მახლო მდებარე ადგილს კარგად იცნობდა. იცოდა ყველა თხუნელასა და მელიის სორო, თვითეულ ხის ფულურო, რომელშიაც მოიბოვებოდა თაფლი, იცოდა ყველა ჩიტის ბუდე უმახლობელეს ხეებზე, მაგრამ ჩიტებს-კი არას ერჩოდა: ედვინი გულკეთილი და შემბრალე იყო ყოველ ცოცხალ არსებისა.

ბოლოს მოსწყინდა ხეტიალი სულ ნაცნობ-ადგილებში და მაინდომა უფრო შორს შესვლა ტყეში.

და აი ერთხელ ედვინი გაუდგა გზას და მალე მიადგა იმისთანა ბნელს და გაუვალს უტეხ ტყეს, სადაც ჯერ არ დაჰკარებოდა ადამიანის ფეხი. მზე უკვე მაღლიდან დასცქეროდა დედამიწას, მაგრამ დახურულს ტყეში სიგრილე ტრიალებდა და ჰაერიც ნოტიო იყო... ედვინმა იფიქრა, სადილობის დრო დიდიხანია გავიდა, დროა შინ დავბრუნდეო, მაგრამ აღარ იცოდა, რომელ მხარეზე იყო მათი ქოხი.

ედვინს გზა დაეკარგა. ამაოდ დაეხეტებოდა იგი აქეთ-იქით, ხან ხეებზე აძვრებოდა ხოლმე, რომ იქიდან დაეთვალიერებინა, ხომ არსად მოსჩანდა კვამლი შენობის ბუხრიდან. ყველაფერი ამაო იყო, ვერაფერს ჰხედავდა, გარდა მწვანე ტყისა. ასწლოვანი, დახავსებული ხეები მჭიდროდ შემოჰხვევოდნენ გარშემო. ყოველს მხარეს ტყის სიდიადესა ჰგრძნობდა. ედვინი დაიღალა, შიმშილმაც აგრძნობინა თავისი ძალა და აღარ იცოდა, რა ექნა. უცნობი დახურული ადგილები შიშსა ჰგვრიდა. თვალებზე უკვე ცრემლები მოადგა, ტუჩები აუთრთოლდა: მზად იყო ტირილი დაეწყო.

ბოლოს ტყეს მოეფინა სინათლის შუქი. ტყე თან-დათან შეთხელდა და უცბად გაკვირვებულმა ედვინმა შორიახლოს თვალი მოჰკრა ერთ ბორცვზე ამართულს ძველებურ ციხე-დარბაზის ნაცრის ფერს, პირქუშს კედლებს. დარბაზს გარშემო ევლო კარგად ღრმა თხრილი, რომლის ნაპირებიც დახურული იყო ბუჩქნარით და ხეებით. მაღალი ქვითკირის კედლები და კოშკები, დაბნელებულნი ჟამთა დენით, წყვდიადით გარემოცულნი, სამყაროს გასცქეროდნენ. ციხე-დარბაზი მთლად სიჩუმეს მოეცვა. ეტყობოდა, შიგ არავინ სცხოვრობდა.

ედვინი მივიდა თხრილთან და განცვიფრებული შესცქეროდა დარბაზს, როგორც მოჩვენებას. არას დროს არ გაეგონა, რომ იმათ მხარეს, ტყის უკან, მდებარეობს ციხე-დარბაზი, „ნეტა სცხოვრობს ვინმე აქ თუ უპატრონოა?“, ფიქრობდა ედვინი და თან ათვალიერებდა დაღვრემილს, მუქ ნაცრის ფერს კედლებს და კოშკებს. ალაყაფის კარი დაკეტილი იყო, ასაწევი ხიდი აღებული... ედვინს უნდოდა შეეხედნა დარბაზში, მაგრამ როგორ შესვლიყო? ვინ იცის, იქნებ შიგ ბოროტი თვალთმაქციც იმალება. ან იქნებ ავაზაკები სცხოვრობენ იქ... ყმაწვილი თხრილის ნაპირას ჩამოჯდა და დააშტერდა ციხე-დარბაზს, თანაც ყურს უგდებდა. მაგრამ, გარდა ფრინველთა ჭიკჭიკისა და ბალახებში მწერთა ზუზუნისა, სხვა არა ესმოდა რა.

უცბად ედვინს მოეჩვენა, რომ ერთ-ერთ კუთხის კოშკის ფანჯარაში თითქოს რაღაც ჩრდილმა გაიელვა და კოშკში გაისმა ყრუ და მძიმე კვნესაო. ედვინი შეკრთა და ყურები სცქვიტა... „რა ხდება ნეტა იქ? — გაიფიქრა: — ავადმყოფი ჰკვნესის, თუ რამე ბოროტ საქმეს სჩადიან? ხომ არავისა ჰკლავენ?..“ ედვინი ფრთხილად ჩაეშვა თხრილში, გაძვრა ბუჩქში და მივიდა იმ კოშკის ძირთან, საიდანაც კვნესა მოისმა. იქ იდგა დიდი, ტოტებ-გაშლილი ხე, რომლის წვერიც კოშკის ფანჯარას მაღლა ასულიყო. ედვინი პატარაობიდანვე დაჩვეული ხეებზე აცოცებას, ადიოდა იგი მარჯვედ, მკვირცხლად და ამისთანა როკიან ხის წვეროზე მოქცევა იმისთვის უბრალო საქმე იყო. ედვინმა გადიხარა თავი და შეჰხედა ზევით... „ფანჯარა კარგა მაღლაა, მაგრამ ეს არაფერი: ხე უფრო მაღლაა“ ფიქრობდა პატარა ბიჭი და კიდეც იხატავდა ფიქრში, როგორ ადვილად შეეძლო აცოცება ხეზე და იმის დაბურულ ფოთლებიდან კოშკში შეხედვა.

იმ წუთას კოშკში კილვა გაისმა, კვნესა. მხოლოდ კვნესა ჩუმი და მიყრუებული... შეშინებულმა ედვინმა უკან დაიწია და ბუჩქებში ჩაიმალა. ძნელი არ იქნებოდა ხეზედ ასვლა, რამდენიმე წუთის საქმე იყო, მაგრამ საშიშია... ედვინს გაეგონა, რომ ქვეყანაზე კაცის მჭამლები არიანო. „კაცის მჭამელი ხომ არა სცხოვრობს ამ ნაღვლიან დარბაზში? მერე, რომ დამინახოს?—დაეკითხა თავის თავს ედვინი:—ჰო, მაშინ ცქვიტად ჩამოვძვრები ხიდან და შევვარდები ტყეში“. მაგრამ ერთ წუთის შემდეგ ყმაწვილი ისევ ჩაფიქრდა: „რომ გამომიდგეს უკან და დამეწიოს?—რა იქნება მერე!—ყოყმანობდა:—არა, სჯობიან, ეხლავე მშვიდობიანად და უვნებლად შევიდე ტყეში და ვეცადო ვიპოვნო ჩვენი ქოხის გზა. ღამემ რომ მისწროს ტყეში, ისევ სჯობიან არხეინად ხეზე სადმე დავაღამო, ვიდრე აქ, ამ დაღვრემილს დარბაზთან დავრჩე, სადაც მხოლოდ ვიღაცის გულშემზარავი ოხვრა-კვნესა არღვევს დუმილს.“ მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ედვინი გამოძვრა ბუჩქებიდან და მიფოფხდა ხესთან. „ვერ დამეწევა ის და ვერც დამინახავს!“ იმშვიდებდა თავს ედვინი და თან კოშკს შესცქეროდა.

თუმცა ეშინოდა, გული საშინლად უცემდა, შიშს ერუანტელი უვლიდა, მაგრამ მაინც აძვრა ხეზე. ცნობისმოყვარეობამ დასძლია ყოველ შიშს. ფრთხილად და ადვილად, როგორც ციყვი, დაძვრებოდა შტოდან შტოზე. მალე ისევ მაღლა იყო, რომ ერთი ხელით რომ ხეს მოსჭიდებოდა ცოტათი წინ წახრილიყო, შეეძლო შეეხედნა ფანჯარიდან კოშკში. ასეც მოიქცა, მაგრამ ამ დროს ისეთ საზარელს სანახაობას მოჰკრა თვალი, რომ ძლივს შეიკავა თავი და კინაღამ არ დაიყვირა. სრულებით არ მოელოდა ამნაირს სურათს, ზღაპარშიაც კი არ გაეგონა იმაზე საშინელი რამ, რაც იქა ნახა...

კოშკის შუა, თეთრს მარმალილოს მაგიდაზე გაჭიმული იწვა უგრძნობლად, ნახევრად ტიტველა კაცი. იგი საშინლად ხრიალებდა და გული მძიმედ უცემდა. ფერმიხდილს, დაღრეჯილს სახეზე ეტყობოდა თრთოლა. ჩაშავებული თვალები დახუჭული ჰქონდა გაყინულს, გაცრეცილს, ოდნავ ღია ტუჩებზე ეხატებოდა რაღაც უსიამოვნო, ბოროტი და ტანჯული გამომეტყველება.

მაგიდასთან იდგა მთლად შავებით მოსილი მაღალი ქალი, რომელიც დაკარწახებულ ხელებით, ოდნავ მოხრილი, თავს დასდგომოდა მწოლიარეს. იმის მარჯვენა ხელში ელვარებდა გალესილი დანა, მარცხენაში კი ეჭირა ოქროს თასი. ედვინმა დაინახა, როგორ მოიქნია ქალმა დანა და თითქმის ტარამდის ჩაუშო თავის წინ მდებარე კაცის გულში. კაცი

მთლად შეთრთოლდა, და ჩუმი, ოდნავ გასაგონი კვნესა მოსწყდა მის ათრთოლებულს, ნახევრად ღია ტუჩებს. კაცი იწვა, როგორც მკვდარი. კოშკის დუმილში ისმოდა, როგორ ღვენთამდა წვეთ-წვეთად სისხლი მიგიდიდან ქვის იატაკზე. ქალმა მიუდგა ჭრილობას თასი. მალე ის ნახევრად გაივსო სისხლით. მერე იქვე მაგიდაზე დასდგა და თავის მსხვერპლის მკერდიდან ამოჰგლიჯა გასისხლიანებული, ჯერ ისევ ფრთხიალა გული და ჩააგდო სისხლით სავსე თასში.

„რა საშინელი საქმეები ხდება აქ!“—გაიფიქრა შიშისგან შეძრწუნებულმა ედვინმა. უნდოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეყვირნა: „უშველეთ! დაიხსენით კაციო“. მაგრამ შიშმა ენა დაუბა. ედვინმა მოიკრიფა მთელი თავისი ძალ-ღონე, რომ დარჩენილიყო ხეზე და ბოლომდის ენახა, რაც ხდებოდა კოშკში.

მე ფეხის ნაბიჯს, მტკიცე და გამბედავს. შეხედულობას, მაშინვე იგრძნობდით, რომ ამ მშვენიერს ქალში, გარეგნულად ესე ნაზსა და ჰაეროვანში, იმალებოდა რაღაც განსაკუთრებული ძალა: დიდი, ძლიერი ძალა...

შავებით მოსილ ქალს რომ მოესმა სუმბუქი შრიალი კაბისა, საჩქაროდ მიიხედა და რა დაინახა იგი, შეკრთა და შეიჭმუხა. ედვინმა შენიშნა, რომ იმ წუთშივე ორივე ქალი ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა. იმის ფოლადის მსგავს თვალების გამომეტყველებაში ნათლად იხატებოდა მტრობა და სიძულვილი. ქერა ქალი კი, ტანში გასწორებული, იდგა მის წინ და მკაცრად ჩაციებით შესცქეროდა.

ცხადად სჩანდა, რომ ამ ქალებს შორის იდუმალი, გამძვინვარებული ბრძოლა იყო, რომელიც სრულიად გაუგებარი იყო ედვინისთვის.

სკოლა ჭუჩაში.

ვენის მახლობლად, პოშტორნში ავსტრიის მთავრობის განკარგულებით ჟანდარმებმა დაჭეტეს და დაბეჭდეს ჩეხების სკოლა. მეორე დღესვე მასწავლებლებმა ეს სკოლა ქუჩაში მოაწყეს. ამ სურათზე დახატულია ის, თუ როგორ ასწავლიან ბავშვებს ქუჩაში.

იმ წუთას ქალი აღფრთოვანებულის სახით მობრუნდა ფანჯრისკენ. დანა ჯერ ისევ ხელში ეჭირა და რაღაც საოცარის, მხიარულის ღიმილით შესცქეროდა მის გასისხლიანებულ პირს. ეხლა ედვინს შეეძლო ნათლად დაენახა ის ქალი, ჩამავალს, წითლად შეღებილ, მზის სხივების ელვარებას გარემოეცო მისი მაღალი, გამხდარი ტანი.... იგი ლამაზი იყო, ძალიანაც ლამაზი, მაგრამ სასიამოვნო კი არ იყო იმის ლამაზ სახის ცქერა. მისი ნაცრის ფერი, მრისხანებით და ბოროტებით სავსე თვალები გამოიყურებოდნენ მოქუშულ წარბების ქვეშიდან, სისხლი ალისფერ ღარებად მიმდინარებდა მის დაკარწახებულ თეთრს ხელებზე. შავს, მაღლა ავარცხნილ თმებზე, გვირგვინის მსგავსად, ეხურა თხელი ოქროს რკალი, რომელზედაც შავის ბეჭვრიალა ასოებით წარწერილი იყო რაღაც სიტყვა...

უცბად ედვინმა დაინახა, რომ კოშკის სიღრმიდან გამოჩნდა მეორე ქალი: ახალგაზრდა, საუცხოვო, სუმბუქ თეთრ ტანისამოსით მოსილი, მშვენიერი ქერა თმიანი, რომელიც ბრწყინვალე ოქროს ტალღასავით დაჰფენოდა მხრებზე. მისი ცისფერი თვალები, როგორც ვარსკვლავნი, ელვარებდნენ კოშკის წყვდიადში. ადამიანის თვალი ვერ გაძღებოდა მის გულკეთილ, მშვენიერ სახის ცქერით... თმები შეკრული ჰქონდა მარგალიტით მოჭედილ ცისფერ ლენტით, ხელში რაღაც ლამაზი ყვავილი ეჭირა. პირველ შეხედვით ეს ქალი ძალიან ნაზ და სუსტ არსებად გეჩვენებოდათ, მაგრამ თუ დაუკვირდებოდით იმის მედიდურს მოძრაობას, მძიმე ფეხის ნაბიჯს, მტკიცე და გამბედავს. შეხედულობას, მაშინვე იგრძნობდით, რომ ამ მშვენიერს ქალში, გარეგნულად ესე ნაზსა და ჰაეროვანში, იმალებოდა რაღაც განსაკუთრებული ძალა: დიდი, ძლიერი ძალა...

შავ-კაბა ქალი უფრო და უფრო მრისხანებით და დაღვრემილი შესცქეროდა თავის მშვენიერს, ძლიერს მოწინააღმდეგეს, სიბრაზისაგან ტუჩები მაგრა მოეკუმა, და თან ხელები უკანკალებდა მაგრამ, მიუხედავად მკაცრ შეხედულობისა და შეჭმუხვნილ წარბებისა, ნათლად სჩანდა, რომ იდუმალი აღელვება უფრო და უფრო იცავდა შავ ქალს. ქერა ლამაზი ქალი კი განაგრძობდა მშვიდად და მტკიცედ ცქერას.

ბოლოს შავებით მოსილმა ქალმა მაგიდასკენ გადასდგა ნაბიჯი და გაიწოდა ხელი გასისხლიანებულ გვამისკენ, თითქოს უნდოდა ეთქვა: „იგი ჩემია“ მაგრამ ქერა ქალი არ აშორებდა თვალს და ყოველ იმის მოძრაობას ყურადღებით უმზერდა... ისიც მიუახლოვდა მაგიდას. და დაიქნია თავისი წითელი ყვავილი. შავ-კაბა ქალმა სიბრაზისაგან კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ, დამონავებულმა თვის მეტოქის სიძლიერით უკან დაიწია.

ედვინი მიხვდა, რომ ამ ქალების ბრძოლის მიზეზი იყო მაგიდაზე მდებარე კაცი, მაგრამ ვეღარაფერზით ვერ გაეგო, რაღა უნდოდა ამ ბოროტს, შავ ქალს: ხომ მოჰკლა კაცი, ამოჰგლიჯა გული... აგერა მკვდარი წევს! ედვინი იმასაც ვერ მიმხვდარიყო, რას ედავებოდა ამ უსულო გვამის ლამაზი ქერა ქალი. ბოლოს ქერა ქალმა ნაბიჯი წარსდგა მოწინააღმდეგისაკენ, რომელმაც ვეღარ გაუძლო იმის ბრწყინვალე ცისფერ თვალების მკაცრ და შეუპოვარს შეხედულობას და თან და თან უკან დაიხია... ტუჩებიც შეანძრია, თითქოს რაღაცა წაულულულაო. ქერა ქალმაც ასევე გას-

ცა პასუხი. თუმცა ედვინი მთელის თავის არსებით სმენად იყო გადაქცეული, მაინც ვერც ერთ სიტყვას ვერ მოჰკრა ყური იმათ საიდუმლო ლაპარაკისას... ქერა ქალმა კიდევ დაიქნია თავისი წითელი ყვავილი. მოწინააღმდეგემ დაიწია კარებისკენ და ერთ წამში ფანჯრისკენ მიიხედა. ედვინმა ფრთხალად წინ წაიწია, ოდნავ თვალები მოხუჭა და დიდის ტანჯვით გაარჩია სიტყვა, შავი ასოებით წარწერილი ოქროს რკალზე, რომელიც შავებით მოსილ ქალს ამკობდა.

„სიბოროტე!“ წაიკითხა ედვინმა.

უცბად კოშკის სიღრმეში გაიღო კარი და დიდის რახუნით ისევ მიიხურა. შავ-კაბა ქალი აღარა სჩანდა კოშკში, გასულიყო. მისი მოწინააღმდეგე დარჩა გამარჯვებული. იგი წელში გაიმართა და მშვიდობიანისა და ღირსებით სავსე გამომეტყველებით მიმოავლო გარს თვალები. ჰგრძნობდა თავის ძალას და ღირსებას. და აქ ედვინმა დაინახა, რომ ცისფერ ლენტზე, რომელიც იმაგრებდა იმის მშვენიერ თმებს, აღიბეჭდებოდა მარგალიტებით მოჭედილი სიტყვა „სიყვარული.“ ქალი მიუახლოვდა გვამს, აიღო მაგიდიდან თასი, რომელშიაც მოკლული კაცის გული და სისხლი იყო. ნაზი თითებით გული მკერდშივე ჩაუდო, სისხლიც ისევ ჭრილობაში ჩაუსხა და მკვდარს გულზე ხელი გადაუსო. ჭრილობა სწრაფად შეხორცდა და იმის ნაადგილევზე მხოლოდ მკრთალი ვარდის ფერი ნაჭდევი ღა სჩანდა. შემდეგ ქალი შეეხო მიცვალებულს თავს, იმის დახუჭულს თვალებს და სახეზე ოდნავ ხელი გადაუსო. დაიხარა, ჩუმად აკოცა შუბლში-და უცბად გაჰქრა. სად გაჰქრა, ვერ შენიშნა ედვინმა...

* * *

იმ წუთას კოშკის სიღრმეში ედვინმა დაინახა რაღაც მოცისფრო შუქი, რომელიც მიმავალ ქერა ქალად მიიღო. მაგრამ, არა, მალე დაინახა თავისი შეცდომა: ეს იყო მთვარის მკრთალი სხივები, რომელიც მოჰფენოდა კოშკს და ბრწყინვალებდა თავის იდუმალ კაშკაშით... გაკვირვებულმა ამ მკრთალ მოციმციმე შუქზე გაარჩია, რომ მიცვალებულს ლოყებზე ოდნავ ფერი მოუვიდა, წამწამები შეუთრთოლდა და გულმაც ფეთქა დაუწყო. კაცმა ღრმად ამოიოხრა, გაახილა თვალები, ოდნავ წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო და გამოურკვევლად მიმოავლო გარს თვალები.

ედვინს თავზარი დაეცა, არ უჯერებდა თავის თვალებს. არასდროს არა გაეგონარა ამნაირს სასწაულზე, რომ მოკლული კაცი გაცოცხლებულიყოს... სიზმარში ხომ არა ვხედავ ჩემ თვალწინ გაცოცხლებულს მკვდარსაო, ფიქრობდა კიდეც ედვინი, მაგრამ, არა! მაგიდიდან რომ გადმოდიოდა კაცი, ფეხი მოსდო ოქროს თასს. რომელიც დაეცა იატაკზე და წკრიალით გაგორდა ფილაქანზე. ჰო! ეს სიზმარი არ არის. ყველაფერს ამას ცხადად ჰხედავს და ესმის ედვინს...

ედვინი ჰხედავს, როგორ მივიდა ფანჯარასთან მკვდრეთით ამდგარი კაცი, შეისუნთქა ღამის გრილი ჰაერი და პირზე ხელი გადისო, თითქოს ეს არის ეხლა გამოუღვიძნია ღრმა ძილისაგან, გარემოცულს ათასნაირ საშინელისა და შემაძრწუნებელის მოჩვენებებით.

„რა სასიამოვნოა სიცოცხლის დაბრუნება!—კვნესით წაილულღლუღა იმან—საზარელია ფიქრიც კი იმაზე, თუ სადამდის მიმიყვანა სიბოროტემ! სრულებით უგულო კაცად შევიქენ... ხალხის თვალშიაც სამუდამოდ მოვკვდებოდი, რომ სიყვარულს არ გევეცოცხლებინე ახალ ცხოვრებისთვის...“

და იმ წამშივე ფანჯარასთან მდგომი კაცი გაჰქრა...

ამაოდ იხედებოდა ედვინი ფანჯარაში: ველარაფერს ველარა ჰხედავდა... მშვიდი მთვარის შუქი ანათებდა კოშკს დაცარიელდა კოშკი.

ედვინი ჩამოვიდა ხიდან, გავიდა თხრილს, ერთხელ კიდევ მიჰხედა დაღვრემილს ცხე-დარბაზს და დაცარიელებულს კოშკს და შემდეგ შევიდა ტყეში... ღამე გაატარა ძველ მუხის ფუტურაში განთიადისას ედვინი გაუდგა გზას. ბევრი ხეტიალის შემდეგ ბოლოს, მიაგნო ნაცნობ ბილიკს და მშვიდობიანად დაბრუნდა სახლში.

დედ-მამა დიდი ხანია გულისხეთქებით ელოდა. ბოლოს იმედიც გადაიწყვიტეს, ფიქრობდნენ, გზა დეკარგა ტყეში და დაიღუპაო... ან იქნება ნადირმა დაჰგლიჯაო... და, წარმოიდგინეთ, მათი სიხარული, როდესაც დაინახეს მშვიდობით და უვნებლად ტყიდან მომავალი საყვარელი შვილი.

ედვინმა უამბო მათ ყველაფერი, რაც ნახა ძველებურ ცხე-დარბაზის კოშკი. დედ-მამა განცვიფრებით უსმენდა ნაამბობს.

ედვინს მთელ თავის სიცოცხლეში არ დავიწყებია საიდუმლოებით მოცულ კოშკის სანახაობა და ფიქრობდა თა-



როგორ გააცურეს ჟურდებმა კოლიციელი.

(გერმანული კარიკატურა).

ვისთვის: „რა გულკეთილი იყო ის „სიყვარული!“ „სიბოროტემ“ კინაღამ მოჰკლა ის უბედური კაცი, „სიყვარულმა“ კი დაიხსნა და გააცოცხლა იგი!!.

ნ. მოლოდინა.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3